სახელმწიფო შესყიდვებისათვის მოსამზადებელი დოკუმენტაციის, პროექტებისა და ხარჯთაღრიცხვების საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმი

ოქმი №4

ქ. მცხეთა 20 ივნისი 2011 წელი

კომისიის სხდომას ესწრებოდნენ:

თეიმურაზ აბაშიძე – მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგებელი -კომისიის თავმჯდომარე;

ლერი ტყემალაძე – ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის უფროსი-კომისიის თავმჯდომარის მოადგილე;

სოფიო მამისაშვილი – საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი სპეციალისტი-კომისიის მდივანი;

მარინე სოხაშვილი – ადმინისტრაციული სამსახურის, იურიდიული განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი;

ილია ჯიშკარიანი – ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, ქონების აღრიცხვის, მართვის და სტატისტიკის განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი;

გიორგი პაპაშვილი – საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების მთავარი სპეციალისტი- კომისიის წევრი;

ილია ციციშვილი – საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, ბიუჯეტის დაგეგმვის განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი;

მერაბ თუხარელი – საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის, სახელმწიფო შესყიდვების განყოფილების უფროსი- კომისიის წევრი;

ილია ოდიშელიძე – მცხეთის მუნიციპალიტეტის გამგეობის, არქიტექტურულ-სამშენებლო საქმიანობაზე ზედამხედველობის სამსახურის უფროსი– კომისიის წევრი;

ზურაბ მარსაგიშვილი – ეკონომიკის, სტატისტიკის, ქონების მართვისა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის, არქიტექტურის და ინფრასტრუქტურის განვითარების განყოფილების უფროსი-კომისიის წევრი;

დღის წესრიგი:

მცხეთის მუნიციპალიტეტის მიერ 2011 წლის 05 მაისს გამოცხადებულ №55 კონკურსზე (მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. მუხათგვერდიდან, ცენტრალური გზიდან ქ. მცხეთის, ფარნავაზის მოედნამდე გარე განათების მოწყობის საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შედგენაზე) გამარჯვებულის შპს „გზაპროექტი"-ს მიერ (2011 წლის 08 ივნისის) ხელშეკრულებით განსაზღვრული დამ ის მიერ წარმოდგენილი დაზუსტებული პროექტის და „ექსპერტის დასკვნის" განხილვა, შეფასება.

მოისმინეს:

საკონკურსო კომისიის წევრები გაეცნენ №55 კონკურსში გამარჯვებული შპს „გზაპროექტი"-ს მიერ წარმოდგენილ დაზუსტებული პროექტს და „ექსპერტის დასკვნას" და გამოავლინეს, რომ:

1. შპს „გზაპროექტი"-მა არ წარმოადგინა ექსპერტიზის დასკვანა;
2. პროექტში არის სანათის **AG-H28A** ოთხი ვარიანტი, მაგრამ აქედან არ არის მითითებული რომელი სანათი უნდა გამოიყენოს მშენებელმა.
3. პროექტში წარმოდგენილი **AG-H28Г** საერთოდ არ აქვს პასპორტი.
4. პროექტის მე-6 ნაწილში „დამატება (შუქტექნიკური გაანგარიშება პროგრამა DIALUX-iT და 3D ვიზუალიზაციით)"-არ არის წარმოდგენილი ქართულ ენაზე.

5. პროექტში წარმოდგენილი ყველა ტექნიკური პასპორტი არის ინგლისურ ენაზე, რაც უნდა იყოს წარმოდგენილი ქართულ ენაზ.
6. პროექტში არ არის წარმოდგენილი ტერიტორიის გეოდეზიური კვლევა და ინფორმაცია საკომუნიკაციო ქსელების არსებობის შესახებ.
7. არ არის შეთანხმება საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტთან.

კომისიამ დაადგინა:

1 . კომისიამ დაადგინა, რომ შპს შპს „გზაპროექტი"-თან გაფორმებული (2011 წლის 08 ივნისის) ხელშეკრულება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" ამავე ხელშეკრულების მე-12 მუხლის 12.3 პუნქტის ა) ქვეპუნქტის საფუძველზე ნაკისრი ვალდებულებები შპს „გზაპროექტი"-ს მიერ არ იქნა სრულყოფილად შესრულებული.

კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ დაწუნებულ იქნეს შპს „გზაპროექტი"-ს მიერ წარმოდგენილი პროექტი და საკრებულოს თავმჯდომარის გადაწყვეტილებით განმეორებით გამოცხადდეს კონკურსი.

კომისიის თავმჯდომარე: თ. აბაშიძე

კომისიის თავმჯდომარის მოადგილე: ლ. ტყემალაძე

კომისიის მდივანი: ს. მამისაშვილი

კომისიის წევრები: მ. სოხაშვილი

ი. ჯიშკარიანი

გ. პაპაშვილი

ი. ციციშვილი

მ. თუხარელი

ი. ოდიშელიძე

ზ. მარსაგიშვილი